ბრძანება:**ბ22. 222602617**

თარიღი:**26/01/2026**

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ი“ ქვეპუნქტების, 85 [3] მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „თ“ ქვეპუნქტების, 85 [4] მუხლის პირველი, პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების“ პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან და სპეციალისტებთან კოორდინაციის განყოფილების უფროსის 26/01/2026 წლის N01-2226026178 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტის შერჩევის მიზნით დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნას დასახლებების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 500-ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართოს ამომრჩევლებთან კონსულტაციები №1 დანართით განსაზღვრულ თარიღებში (წინამდებარე ბრძანებას თან ერთვის დანართი N1 და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს).

2. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და საზოგადოებრივი მომსახურეობის სამსახურს და მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში დაევალოთ მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება საპროექტო წინადადების შემუშავების პროცესში.

3. მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და საზოგადოებრივი მომსახურეობის სამსახურსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლობებში ყოველ სამუშაო დღეს, 09-დან

18საათამდე, 2026 წლის 09 თებერვლიდან 2026 წლის 18 თებერვლის ჩათვლით.

4. დასახლებების საერთო კრებების სხდომების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახლებაში განსახორციელებელი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერი პროგრამის ფარგლებში დასაფინანასებელი პროექტ(ებ)ის შერჩევა.

5. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვრონ:

ა.გურამი არაბიძე (ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლებთან და სპეციალისტებთან კოორდინაციის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) მობილური ტელეფონი: 591 53 35 55 , ელ.ფოსტა:guram.arabidze@zestafoni.gov.ge;

ბ. დავით მესხიშვილი (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და საზოგადოებრივი მომსახურეობის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მ.შ) მობილური ტელეფონი: 557 71 58 22 ელ.ფოსტა: davit.meskhishvili@zestafoni.gov.ge.

6.ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში(მის. ზესტაფონი წერეთლის ქუჩა N11).

ვახტანგ ღამბაშიძე

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი